დაგელოცოთ მარჯვენა, მეჩაიეებო!

ჩაის ფოთლის კრეფის ორი თვის გეგმა შესრულებულია!

ვინ მოიპოვებს გარდამავალ წითელ დროშას?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ დაწესეს გარდამავალი წითელი დროშები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოებისათვის.

მეჩაიეობაში წითელი დროშა მიეკუთვნებათ:

ყოველ ჰექტარზე ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობის გადიდების, მთლიანი მოსავლის ზრდისა და ხარისხის მიხედვით სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, ამავე დროს მიღწეულ უნდა იქნას ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმისა და პლანტაციების რემონტის გეგმის შესრულების უმაღლესი მაჩვენებლები.

მეჩაიეთა სიზყვა და საქმე ერთია!

საქართველოს სს რესპუბლიკაში 13 ივნისისათვის მოკრეფილი იყო 73.404 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ანუ 10 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდისათვის

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო	კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი	საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ან საოლქო კომიტეტის პარტორგი	მაის-ივნისის გეგმის შესრულება (ტონებში)	მაის-ივნისის გეგმის შესრულების პროცენტი
ზესტაფონის	მ. სამხარაძე	გ. ყიფიანი	280	170
სამტრედიის	გ. ქართველიშვილი	კ. შავიშვილი	1.860	103
წყალტუბოს	მ. ღოღობერიძე	ო. აბესაძე	3.326	115,2
მახარაძის	ვ. ჯაყელი	ვ. თოხაძე	22.069	102,7
ქობულეთის	რ. სიორიძე	ნ. ხახუტაშვილი	13.405	107,1
შუახევის	შ. ჩხაიძე	ა. გოლძვაძე	89	115,6
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში			73.404	100

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 138 (12346) | ხუთშაბათი, 14 ივნისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ვინც თავი ისახელა

ორი კვირის წინათ საქართველოს მეჩაიეებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. მათ სიტყვა საქმით დაამტკიცეს. ჩაის ფოთლის წლიური გეგმის 86 პროცენტი მოკრიფეს 30 მაისისათვის. გუშინ გამარჯვებას ახალი გამარჯვება მოჰყვა — ჩაის ფოთლის კრეფის მაისისა და ივნისის გეგმა შეასრულეს მეჩაიეებმა.

ამ საპატიო ამოცანის შესრულებაში ბევრმა მეჩაიემ ისახელა თავი. ბევრმა მათგანმა არა მარტო მაისისა და ივნისის, არამედ წლიური დავალება გადაჭარბებით შეასრულა — ჩაის მრეწველობას დიდძალი ნედლეული ჩააბარეს.

ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში თავი ისახელეს მახარაძის, ქობულეთის, ბათუმის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის რაიონების ახალგაზრდა მეჩაიეებმა. ბათუმის რაიონის სოფელ მახოს კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიემ გუგული მალაკმაძემ ჩაის ფოთლის კრეფაში წარმატებას მიაღწია. იგი ყოველდღიურად ჩაის ფოთლის კრეფის დავალებას ორმაგად და სამმაგად ასრულებს. ჩაის ფოთლის კრეფაში მას როდი ჩამოუვარდება ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ონარიის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე თინა მოსია. იგი მოწინავეთა პირველ რიგებშია. ბათუმის რაიონის ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მეტი ჩაისათვის ბრძოლაში დაწინაურდა ეთერ ბერიძე. იგი ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

მეჩაიეებმა დასახმარებლად აღმოსავლეთ საქართველოს ახალგაზრდებიც ჩავიდნენ. ბევრმა პირველად ნახა ჩაის ბუჩქები, მაგრამ ამას ხელი როდი შეუშლია, რომ ჩაის ფოთლის კრეფაში მოწინავეთა რიგებში ჩამდგარიყო. ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეები ა. ჯიოევა და ლ. კოტოლოვა ახალბედა მკრეფავები არიან, მაგრამ ისინი დღეში 50-60 კილოგრამ ჩაის ფოთლს კრეფენ.

მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დაწინაურდა მეჩაიეთა კომუნისტური შრომის რგოლი, რომელსაც ეთერ ნიკოლაიშვილი ხელმძღვანელობს.

სურათებზე: ზემოდან ქვემოთ — მოწინავე მეჩაიეები გ. მალაკმაძე, ე. ბერიძე, თ. მოსია, ქვემოთ — მარცხნიდან ე. ნიკოლაიშვილი, ა. ჯიოევა, ლ. კოტოლოვა.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა, ბ. სოკოლოვისა და ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ორი თვის გეგმა — ვადამდე

გეგეჭკორი. (სპეც. კორ.). რაიონის მეჩაიეები თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ განამტკიცონ მოპოვებული წარმატება. მათ მაისში ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 39,3 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ორი თვის გეგმას სამ დღეში გაანაღდებენ. სულ რაიონში მოკრეფილია 3.300 ტონა ხარისხოვანი „მწვანე ოქრო". ეს შარშანდელ მაჩვენებელს 950 ტონით აღემატება.

სოფელ ონოდის კოლმეურნეობას გეგმით მაის-ივნისში უნდა მოეკრიფა 74 ტონა, მოკრიფა 82 ტონა ჩაის ფოთოლი. სოფელ ნაჯახაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ორი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ 85 ტონის ნაცვლად მოკრიფა 88,5 ტონა. დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ მაის-ივნისის გეგმა 101,2 პროცენტით გაანაღდა, მოკრეფილია 762 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 752 ტონისა.

დაწინაურდნენ

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ჩხოროწყუს რაიონის მეჩაიეებმა. რაიონის კოლმეურნეობების უმრავლესობას და ლესიჟინის ჩაის საბჭოთა მეურნეობას უკვე მოკრეფილი აქვს წლიური გეგმის 38 პროცენტზე მეტი, ხოლო წლიური გეგმის 45-50 პროცენტი მოკრიფეს: ნაკიანის, ხაბუმის, ახუთის, სარაჭონის და ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნეობებმა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი კირცხის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა, რომლებმაც მაისში მოკრიფეს 116,8 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 47,5 პროცენტს შეადგენს. მოკრეფილი ჩაის 99 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ივნისის დავალებაც შეასრულეს.

დიდი წარმატებები მოიპოვეს მეჩაიე შუქურებმა შურა შენგელიამ, ლუბა ჭყონიამ, ლამარა ახალაიამ, ნინო თოდუამ, მერი მორგოშიამ, ნათელა მოსიამ. ეს მეჩაიეები დღიურ დავალებას ხუთმაგად ასრულებენ და უკვე მოკრიფეს წლიური გეგმის 50-60 პროცენტი.

შ. ფირცხალავა.

მანქანითა და ხელით

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ენერგიულად შრომობენ ონგირის ჩაის საცდელი საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის მეშვები. მათ პირველი წარმატება უკვე მოიპოვეს. 11 ივნისისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მოკრიფეს 900 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად 878 ტონისა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 100 ტონით მეტი.

აღსანიშნავია, რომ სულ მოკრეფილი ჩაის ნედლეულიდან მანქანებით მოიკრიფა 201 ტონა. შარშან კი მანქანებით მოკრეფილი იყო მხოლოდ 77 ტონა. მეურნეობაში მოკრეფილი ჩაის ფოთოლი მთლიანად გადამუშავებულია და მიღებულია მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

შეჯიბრების ძალა

ზვიდფლედის მეოთხე წელი მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს ნამდვილად დიდი გამოცდის წელია. სახელოვანი მეჩაიეები ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ. ამას დიდად უწყობს ხელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დაწესება. პირველი გამარჯვება მოპოვებულია. მაისში კრეფის წლიური გეგმა 38,5 პროცენტით შეასრულეს. დღემდე მოკრეფილია 22.069 ტონა „მწვანე ოქრო", რაც მაის-ივნისის გეგმის 102,7 პროცენტს შეადგენს.

გარდამავალი წითელი დროშების დაწესებასთან დაკავშირებით მეჩაიეებმა გადაწყვიტეს მარტო ივნისში მოკრიფონ 10.300 ტონამდე ჩაის ნედლეული, ანუ წლიური გეგმის 23 პროცენტი. მახარაძის საწარმოო სამმართველო ეჯიბრება ქობულეთისა და ზუგდიდის საწარმოო სამმართველოებს, ოჯრეთი უკრაინის სსრ გენიჩესკის საწარმოო სამმართველოს.

დიდია ამ შეჯიბრების ძალა. მეჩაიეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა 1 სექტემბრისათვის შეასრულონ, ხოლო ვალდებულება — 15 სექტემბრისათვის.

არ შევანელოთ ჯემპი, მეგობრებო!

ოცარია, მხოლოდ რამდენი მეათეული წლისაა ქართული ჩაი და როგორ გაითქვა სახელი შინ და გარეთ. თვალწარმტაცს, ქართული ორნამენტებით შემკობილ პატარა ყუთებს, რომლებშიც აწყვია სურნელოვანი „ქართული ჩაი", სად, ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ შეხვდებით.

რა საამაყოა... იმ ყუთებში ჩვენი მეჩაიე კოლმეურნეების — ვაჟკაცებისა და ქალიშვილების შემოქმედებითი შრომის ნაყოფია ჩაწყობილი.

იზრდებიან, იფურჩქნებიან თავქოჩორა ჩაის ბუჩქები, ალამაზებენ ველ-მინდვრებსა და გორაკებს, ალამაზებენ და ამდიდრებენ, ბარაქით ავსებენ კოლმეურნეთა ოჯახებს, სახელს უხვეჭენ ადამიანებს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, რაიონს, რესპუბლიკას...

წელს განსაკუთრებული გაცხოველებაა ჩაის პლანტაციებში. მაისისა და ივნისის თაკარა მზემ სარბიელი გაუფართოვა ხელმარჯვე ჩაის მკრეფავებს. შუქურების მხარდამხარ დადგა შრომაში გამოწრთობილი ათასობით ვაჟკაცი და გოგონა — ჩაის ფოთლის კრეფის ნამდვილი ჯადოქრები.

სულ ოთხიოდე თვე უყვარს ჩაის ნაზ დუყს — მაისი, ივნისი, ივლისი და აგვისტო. მზეს შეჰხარის იგი და იმიტომ ყლორტებს იყრის, ინაზება. მიდამოს სურნელსა ჰფენს. დროზე მიუსწრებ ამ სინაზესა და სურნელებას, მეტი იქნება ხარისხოვანი ჩაის ხვავი და ბარაქა.

წელს ჩვენმა მეჩაიეებმა მაისის დღეები ნაყოფიერად გამოიყენეს, როგორც იტყვიან, ხერხემალი განუმტკიცეს არა მარტო წლიური გეგმის, არამედ ვალდებულების შესრულებასაც.

კიდევ უფრო ორგანიზებულად, საქმიანად დაიწყო ჩაის კრეფა. 13 ივნისისათვის რესპუბლიკაში შესრულებული იყო მაის-ივნისის გეგმა — მოკრიფა 73.404 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს 10 ათასი ტონით მეტია, ვიდრე შარშან ამავე რიცხვისათვის იყო მოკრეფილი.

ტემპი არ ცხრება. მოვკრიფოთ 160.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი! — ასეთია წელს ჩვენი მეჩაიეთა სურვილი.

პირველი მძლავრი ნაბიჯები საამაყოა. ვამრავლოთ გამარჯვებანი. 1-ლი სექტემბრისათვის შევასრულოთ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა — ასეთია ამოცანა, ძვირფასო ამხანაგებო — ჩაის კრეფის ოსტატებო!

გუშინ ჩაის პლანტაციებში



მახარაძე. დიდ წარმატებას მიაღწია სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" წევრმა **იზოლდა ცინცაძემ.** მან მოკრიფა 125 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილი აქვს 4.700 კილოგრამი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.500 კილოგრამისა. სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობაში **ელპიტი გოლეიაძემ** მოკრიფა 75 კილოგრამი, ხოლო სოფელ განახლების კოლმეურნეობის წევრმა **ზინა ბაჯელიაძემ** — 85 კილოგრამი.

გეგეჭკორი. სოფელ ლეხაინდრაოს კოლმეურნეობა „საქართველოს" წევრმა **ლაიზა ბარათაიამ** ერთ დღეს მოკრიფა 95 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ლენინის ორდენოსანმა **მარიამ ქიქავამ** — 80 კილოგრამი, სოფელ ნაჯახაოს კოლმეურნეობაში სოციალისტური შრომის გმირმა **ლენა ფინთურიამ** — 75 კილოგრამი, სოფელ გაქედილის კოლმეურნეობაში **თალიკო წულაიამ** — 70 კილოგრამი.

წლიური გეგმა შეასრულეს!

— **ჩ ვ ე ნ ი** ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს თვალისჩინია, სასახელო მეჩაიეა! — ამ სიტყვებს ხშირად გაიგონებთ არა მარტო სოფელ გუმბრის კოლმეურნეობაში, არამედ წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალ ყველა სოფლებში.

— უფრო მეტი შეიძლება ითქვას ოლია უშვერიძეზე, უფრო მეტი, — დასძენენ მისი ამხანაგები. მართლაც ასეა.

ოლიამ წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა — პირველი ივნისისათვის მოკრიფა 2.340 კილოგრამი „მწვანე ოქრო" ნაცვლად 2.300 კილოგრამისა.

ტ ა ტ ი ა ნ ა ტყეტუჩავა რესპუბლიკის მეჩაიეებს შორის პირველ ადგილზეა. მან ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარე წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ნაცვლად 4.000 კილოგრამისა მოკრეფილი აქვს 6.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

იგი დღეში 250-300 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. ამას წინათ ერთ დღეს 300 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი მოკრიფა და 60 მანეთი გამოიმუშავა. მოწინავე მეჩაიის გადაწყვეტილებაა წელს 18.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფოს პირველ სექტემბრამდე.

ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა მამადუ დიას

18 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი კრემლში შეხვდა სენეგალის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და ეროვნული თავდაცვის მინისტრს მამადუ დიას.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და მამადუ დიას შორის გაიმართა გულითადი და მეგობრული ხასიათის საუბარი.

საუბარს ესწრებოდნენ: სენეგალის რესპუბლიკის ეროვნული კრების ვიცეთავმჯდომარე, პარტია „სენეგალის პროგრესული კავშირის" პოლიტიკური მდივანი უსმან ნ' გომი და სახელმწიფო ადმინისტრაციის, შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრი იბრაჰიმ სარი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს ესწრებოდნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი აფრიკის განყოფილების გამგე ა. ა. შვედოვი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ ა. დ. ზურაბაშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მედიცინის მეცნიერების განვითარების დარგში დამსახურებისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოდეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ავლაბი დავითის-ძე **ზურაბაშვილი შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 ივნისი.

სერიოზული ნაბიჯი

ლაოსის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე

მოსკოვი, 12 ივნისი. (საქდეს). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ლაოსის კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს პრინც სუვანა ფუმას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც საბჭოთა მთავრობის სახელით კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება ლაოსის სამ პოლიტიკურ ძალას შორის და შეიქმნა ეროვნული ერთობის კოალიციური მთავრობა.

ასეთი მთავრობის შექმნა, ნათქვამია დეპეშაში, სერიოზული ნაბიჯია ლაოსის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების, ლაოსის ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნულ პრობლემათა წარმატებით გადაჭრის გზაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი გამოთქვამს იმედს, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, რაც საბჭოთა კავშირსა და ლაოსს შორის შეიქმნა, კვლავაც განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ ფ. კენედისა და დიდ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰაროლდ მაკმილანისადმი გაგზავნილ დეპეშებში ნ. ს. ხრუშჩოვი სუვანა ფუმას მეთაურობით ეროვნული ერთობის კოალიციური მთავრობის შექმნას აფასებს როგორც აქტს, რომელიც შეიძლება შემობრუნების მოვლენა გახდეს თვითონ ლაოსელი ხალხის ცხოვრებაში, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

კოალიციური მთავრობის შექმნა, ნათქვამია დეპეშებში, გზას უხსნის იმას, რომ უახლოეს ხანში დაბოლოვდეს ლაოსის საკითხის მშვიდობიანი მოგვარებისათვის მუშაობა, რომელიც ქვეყნის თანმიმდევრობით, ეროვნული ერთობის კოალიციური მთავრობის ხელმძღვანელობით, ეროვნული ერთობის ფრონტის ინიციატივით, ეროვნული ერთობის ფრონტის ინიციატივით, ეროვნული ერთობის ფრონტის ინიციატივ

ზუსტად დავიცვათ სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი

საქართველოს სსრ სასამართლოს, პროკურატურის ორგანოებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა პარტიული აქტივის კრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუდებელი ამოცანა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა აღზრდას შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, სოციალისტური მორალის პრინციპების სულისკვეთებით. ახალი ადამიანის ჩამოყალიბება ხორციელდება გმირული შემოქმედებითი შრომით, წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრის გზით. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა წარმატებით მიდის კომუნიზმისაკენ, განსაკუთრებით მწვავედ დგება საკითხი, რომ გავაძლიეროთ ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, ზუსტად დავიცვათ საბჭოთა კანონიერება და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები.

ჩვენს ქვეყანაში ყოველ წელს მცირდება სისხლის სამართლის დანაშაულობათა რაოდენობა. სოციალისტური წყობილება, რომელიც არ შეიცავს დანაშაულების წარმომშობ მიზეზებს, ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ წარმატებით ვიბრძოლოთ ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ისეთი მოვლენების წინააღმდეგ, როგორიც არის სპეკულაცია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცემა, მექრთამეობა, ხულიგნობა და წარსულის სხვა საზიზღარი გადმონაშთები.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად მოითხოვს რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო ამ მახინჯ ძოვლენებს, რომლებიც დიდად საძულველია ჩვენი საზოგადოებისათვის სოციალისტური წყობილებისათვის.

უკანასკნელ ხანს პარტიამ და მთავრობამ განსაორიგინალეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეთა უფლებების განუხრელად დაცვისათვის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში განსაზღვრული სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის ორგანოების პასუხსაგები ამოცანები, რომელთა შესრულება მოითხოვს შემდგომ ამოღლდეს მათი როლი დამნაშავეობის და განსაკუთრებით ყველაზე საშიშ სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

რესპუბლიკაში დამნაშავეობისა და ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხს მიეძღვნა საქართველოს სსრ სასამართლოს, პროკურატურის ორგანოებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტივის კრება, რომელიც 12 იანვარს გაიმართა თბილისში. აქტივის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, რესპუბლიკურ უწყებათა, სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

კრებამ მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის **ო. ქავთარაძის**, საქართველოს სსრ პროკურორის **პ. ბერძენიშვილისა** და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის **ე. ტაკიძის** მოხსენებები.

ულმოგელი ბრძოლა — სახალხო დოვლათის დამტაცებლებს, მექრთამეებს!

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენამ, — ხაზგასმით აღნიშნა თავის მოხსენებაში ამბ. ქავთარაძემ, — კოლექტიური ხელმძღვანელობის განმტკიცებამ, საბჭოთა დემოკრატიის გაფართოებამ, სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვამ და განვითარებამ შექმნა ეფექტური ბრძოლა ეფექტური ბრძოლა ... ...

ლექსი, ძმობა, სიყვარული

რუსული პოეზიის დეკადის წინ

ჩვეული სტუმართმოყვარეობით ხვდება რუსული პოეზიის თანამედროვე წარმომადგენლებს საბჭოთა საქართველო. 15-დან 25 ივნისამდე ჩვენს რესპუბლიკაში ეწყობა რუსული პოეზიის დეკადა.

რუსულ და ქართულ ენებზე წაიკითხავენ თავიანთ და თარგმნილ ნაწარმოებებს პოეტური სიტყვის ოსტატები. ისინი გამოვლენ საქართველოს მსხვილ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებში...

პოეზიის დიდი მოტრფიალეა რუსთაველის მშობელი ქვეყანა. იგი გულს უხსნის ძვირფას სტუმრებს, რომ ნახონ, გაიცნონ და უფრო შეიყვარონ ჩვენი მხარე, რომელმაც არა ერთსა და ორ დიდ მწერალს შთააგონა შეექმნათ უკვდავი ქმნილებანი ჩვენს სამშობლოზე, ჩვენს ადამიანებზე, ლამაზ ბუნებაზე.

რუსული პოეზიის დეკადა უფრო განამტკიცებს ქართველი ხალხისა და რუსი ხალხის მეგობრობას, კულტურულ ურთიერთობას. ბევრი რუსი პოეტის შემოქმედება შესანიშნავად არის აყვანილი ქართულ ენაზე, ასევე კარგად ამეტყველებულია ქართველ პოეტთა ლექსები რუსულ ენაზე.

აღნიშნულ დეკადასთან დაკავშირებით ჩვენმა გამომცემლობებმა, კერძოდ „საბჭოთა მწერალმა“ და „ნაკადულმა“ გამოსცეს მხატვრულად მაღალი გემოვნებით გაფორმებული პატარა კრებულები. ამ წიგნებში მოთავსებული რუსი პოეტების რამდენიმე ლექსი ჩვენს დღევანდელ ნომერში იბეჭდება. აქვეა მათ ავტორთა მოკლე ბიოგრაფიები.

დეკადის წინადღეა. კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა ჩვენს ცაფირუზ საქართველოში, პუშკინისა და ლერმონტოვის სამშობლოდან ჩამოსულო, ძვირფასო მეგობრებო!

იუნა მორიცი

ახალგაზრდა რუსი პოეტი ქალი იუნა პეტრეს ასული მორიცი დაიბადა 1937 წლის 22 ივნისს, კიევში. დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. სტუდენტობის წლებიდანვე დაიწყო ლექსების ბეჭდვა ჟურნალ-გაზეთებში. 1962 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი წიგნი „სურვილების კონცხი“.

* * *

მე წავალ, მე წავალ, მე წავალ,
მე წავალ ძალიან შორს...
ტყეებში ცხრათვალა მზედ ჩავალ,
სტეპებში გავკვალავ თოვლს.
მე წავალ, ვით ფიქრი მაღალი
იქ, სადაც სიცოცხლე დუღს.
იქ, სადაც ძაღლები დავდავით
კურდღლებს უხეთქავენ გულს.
დავნთებ კოცონს და ღადარში
ღიმილით დავაცხობ პურს
და სულ დავივიწყებ, ქალაქში
რომ ჩემთან შეხვედრა გსურს.
მიწას გავერთხმები ნისლადა
რწმენით, რომ აღვსდგები ხვალ...
მე წავალ, მე წავალ იქ, სადაც
მენდობა ათასი სხვა.
მე წავალ, რა ვიცი, რა ჰქვია
ამ წასვლას, იმედს რომ გვძენს.
მე წავალ, რა ჩემი საქმეა,
უჩემოდ თუ ვერ ძლებ შენ.

თარგმანი მორის ფოცხიშვილისა.

პავლე ანტოკოლსკი

რუსული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელი პავლე ანტოკოლსკი დაიბადა 1896 წელს. 1921 წელს დაიბეჭდა მისი რამდენიმე ლექსი, ხოლო 1922 წელს გამოვიდა პირველი წიგნი. პ. ანტოკოლსკის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა საყოველთაოდ ცნობილი პოემა „შვილი“.

პ. ანტოკოლსკი ავრეთვე ცნობილია, როგორც ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის საუკეთესო მთარგმნელი.

ქართველ მხატვარ ქალს

თამარ აბაკელიას ხსოვნას

ქართველ მხატვარ ქალს მე ვკითხე, როცა
მისი მშვენების გაჯდი მხილველი:
— ამდენი ძალა რა ძალამ მოგცა,
ამდენი ხელი გასაკვირველი?
რიფრაფის ფერი რომ გამოსტაცე,
ძვირფას ქვათაგან იყო რომელი?
სად ნახე ვეფხის თვალი, ოსტატო,
ასე ცეცხლივით ჩაუქრობელი?
ეგ მოწითალო სად იყო თიხა,
ფერი დღეების, ზღვის და მაერის,
ან ეგ სანგინი სად ნახე, მითხარ,
ჩემი მლელვარე სისხლის ნაირი?
როგორ დახატე ტურფა მთა-ბარი,
როგორ კითხულობ სახეებს ნეტავ?
მითხარი, როგორ გაჯდი მხატვარი,
ისეთი, ახლა როგორსაც გხედავ?
და მან პასუხად, ღიმილით წუნარით
ქვები მაჩვენა ხელით ნათალი,
მერე თეატრის გამილო კარი
და დამანახვა ცრუ და მართალი,
მიამბო, მისი სული მყინვარებს
როგორ აწყდება ღამით თუ დღისით,
რომ მოიპოვოს ფერი ბრწყინვალე,
სამარადისოდ აღბეჭდვის ღირსი.
თქვა და გამომყვა ნაბიჯით ნელით,
თამშორდა კარის ზღურბლზე მომდგარი,
მან ჩამომართვა ღიმილით ხელი,
ხელი — ფერის და ქვის მეგობარი.

თარგმანი ბრიგოლ აბაშიძისა.

ალექსანდრე მეჭიროვი

გამოჩენილი რუსი პოეტი ალექსანდრე მეჭიროვი, დაიბადა 1924 წელს. მისი ლექსების პირველი წიგნი დიდი სამამულო ომის დღეებში გაიცნო მკითხველმა.

ა. მეჭიროვი დიდი სიყვარულითა და გატაცებით თარგმნის ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედებას.

ქართული ცეკვა ხმლებით

ქართული ცეკვავ, ლერწამ ტანისა,
შენ დამიფარე ავი თვალისგან!
ქართული ცეკვავ — სულო ელვისა,
შენ დამიფარე ავი ენისგან!
შემომტაკარე ვაუკაცთა მხარე,
გამიხაფხულე და გამახარე!
ცეცხლი წამაკიდე და გადამშუბე,
მეც მაზიარე მაგ სიჭაბუკეს.
ქართული ცეკვავ, ცად ამიტაცე
და მთების მასტუბრე საიალაღეს,
ჩამინთეფეანე მერე მიწაზე
და ჩამახუტე მწვანე ბალახებს,
მუხლზე დაკვეს, დაიმტვრიე დოლი, დაირა!
ვაუკაცები ვართ, ვერ ვიცეკვებთ ჩვენ სხვანირად!
ამაღამ ყველა დაივიწყებს ცას და მნათობებს,
რადგან ასულო, მაგ თვალებმა მარილა დაგვთოვლეს.
ამ ქართულ მიწას ვეთაყვანოთ,
ამ ზღაპრულ მიწას,
ფეხისწვერებზე რის დაუვლის ილიაო ფიცხლად,
ქარტეხილივით, ორბის ყიავილით.
ისმის ყიჟინა,
შემართული ხმლები კვესავენ:
— ჩამომიქროლე, რა კარგი ხარ, შენი კვნესამ
გალავნის იქით ჭიხვინებენ ზორბა ცხენები
და ლაგამს ხრავენ,
შეცხვარის ძაღლებს ცეცხლისფერი უჩანთ ენები
და მთებს ქორივით ეცემა ღამე.
თითქოს მოისმის თქარათქური ცხენთა ფლოქვების,
არის ყიჟინა
და ფრიალი შავი ჩოხების...
ქართულო ცეკვავ, მაზიარე შენს სიჭაბუკეს!
შენი ელვა და ცეცხლი მაჩუქე!

თარგმანი შოთა ნიშნიანიძისა.

მიხეილ ლუკონინი

მიხეილ ლუკონინი დაიბადა [illegible] ქალაქ ასტრახანში. 1918 [illegible] 1941 წლებში სწავლობდა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. მონაწილეობდა სამამულო ომში. ლექსების პირველი წიგნი — „გულის ძგერა“ გამოქვეყნა 1947 წელს, მოსკოვში. 1949 წელს მ. კ. ლუკონინი დაჯილდოებულ იქნა სახელმწიფო პრემიით.

შენი ბარათი

ვიცი, რომ სწუხარ... აქ, ფრონტზე მეც ხომ
თან დამდევს შენზე ოცნება ტკბილი...
შენ გინდა გული არ გამიტეხო
და მწერ — კარგად ხარ, მწერ —არა სტირი.

შენი ბარათი სადღაც დავკარგე,
სადღაც წამართვეს თოვლიან გზებმა,
მე თხილამურის ვიწრო ნაკვალევს
ამაღამ ველარ დავუწყებ ძებნას.

ო, ის ბარათი... ბრძოლის დროს ფარი,
ჩემი მერმისი, ჩემი წარსული.
ის იყო ჩემი თავშესაფარი
და სიხარული ჯავშნად ჩაცმული.

ვიცი ამაღამ გულდაგარძელი მტერი
მოპუვება ჩემს კვალს ავი ცთუნებით,
ააშრიალებს უცებ შენს წერილს
მისი შავ-შავი თხილამურები.

ქაღალდს მოხვდება ფინელის მზერა,
იტყვის — დე, სხვებმა შემთხვევა მიქონ...
ნაცნობი არის რუსული ენა
და მარცვალ-მარცვალ ჩამოშყრის სტრიქონს.

და საიდუმლო ამბავის ნაცვლად
ნახავს შენს სიტყვებს, იმედით სავსეს,
დაუვლის შური და უფრო მკაცრად
დამედევნება, რომ დაშნით დამცეს.

... დავკარგე, მაგრამ მომიტანს მტერი,
თვითონ მომიტანს შენს ძვირფას ნაწერს,
თოფშემართული წუთიწუთ ველი,
მოფარებული დათოვლილ ნაძვებს.

თარგმანი იოსებ ნონეშვილისა.

მოვიდოდა, განიარაღება!

ლ ო ზ ა ნ ი ა. ბულგარეთის მშვიდობის მომხრეთა VI ეროვნული კონგრესის მონაწილეებმა ერთხმელოვნად მიიღეს მიმართვა ბულგარელი ხალხისადმი და დეპეშა მშვიდობის მსოფლიო საბჭოსადმი, რომელშიც მხარს უჭერენ ინიციატივას, რომ ივლისში მოსკოვში მოწვეულ იქნეს მსოფლიო კონგრესი საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის.

კონგრესმა აირჩია განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის დელეგატები, რომლებმაც მოსკოვში უნდა გამოთქვან ბულგარელი ხალხის ნება სხვა კავშირის, მთელი სოციალისტური ბანაკისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მხარდამხარ იაროს საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ვ ა ვ ა ნ ა. კუბელი ხალხი მიესალმება მომავალ მსოფლიო კონგრესს საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის, უკავშირებს რა ამ კონგრესს მშვიდობისა და ბედნიერი მომავლის იმედებს.

„მე მიმაჩნია, — განაცხადა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში მემონტაჟე-მშენებელთა ბრიგადირმა რიკარდო ლამბერტმა, — რომ განიარაღება უდიდეს სარგებლობას მოუტანს მთელ კაცობრიობას“.

„განიარაღების საკითხი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საკითხია, — ხაზგასმით აღნიშნა ლამბერტმა. — დიდად მნიშვნელოვანია ის, რომ ბოლოს და ბოლოს მივაღწიოთ განიარაღებას. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მოწვევა მოსკოვში მეტად საჭირო და დროულია. კაცობრიობამ არ უნდა დაუშვას ახალი დამანგრეველი ომი, რომელიც აუარაცხელ მსხვერპლს მოუტანს უბრალო ადამიანებს“.

„მე მივმართავ კონგრესს და მოვუწოდებ იხსნას კაცობრიობა ახალი დამანგრეველი ომის საფრთხისაგან, რომელიც მას ემუქრება, — თქვა მემონტაჟემ ხოსე ანტონიო პერეს აბრეუმ. — მთელ ჩვენს ხალხთან ერთად გადაჭრით ვგმობ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს იმისათვის, რომ ისინი ვერაგულად ამზადებენ ომს და აშკარად აპირებენ პირველმა გააჩაღონ იგი საბჭოთა კავშირზე უაჩაღური თავდასხმით. ჩვენ მოვსპეთ ამერიკის დაქირავებულნი პლანიორინნში და ვფრთხილებთ: ბატონო იმპერიალისტებო, თუ ახალი მსოფლიო ომი გააჩაღეთ, კუბელი ხალხი იბრძოლებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მხარეზე. სოციალიზმი გაიმარჯვებს!“

ბ უ დ ა პ ე შ ტ ი. უნგრეთში იმართება მშვიდობის მომხრეთა კრებები და მიტინგები, რომლებზეც მათი მონაწილენი ადგენენ განაწესებს საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის უნგრელი დელეგატებისათვის. მეოთხედ მილიონზე მეტი ხელმოწერა მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე, რომლებიც მიიღეს მიტინგებმა და კრებებმა და რომლებიც დღემდე შემოსულია სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოში, დამაჯერებლად მოწმობენ უნგრეთის მშრომელთა ერთსულოვან მისწრაფებას მშვიდობისადმი, საყოველთაო, სრული და კონტროლდაქვემდებარებული განიარაღების განხორციელებისადმი.

ბ უ ნ ი ს ი. გაზეთმა „ტრიბუნ დიუ პროგრეს“ გამოაქვეყნა ტუნისის თავისუფლებისა და მშვიდობისათვის მებრძოლი კომიტეტის მიმართვა, რომელიც შეიცავს მოწოდებას მხარი დაუჭირონ მსოფლიო კონგრესს საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხები თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ქმნიან მშვიდობის მძლავრ დასაყრდენს, — ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში. მათ გადაჭრით უნდა დაუჭირონ მხარი ამ ბრძოლაში. ისინი დაინტერესებული არიან საყოველთაო განიარაღებით, რომელიც აიძულებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შეწყვიტონ აგრესიისა და ომისათვის საზიზღარი წაქეზება.

ტუნისის თავისუფლებისა და მშვიდობისათვის მებრძოლ კომიტეტს თავის მოვალეობად მიაჩნია მოუწოდოს კეთილი ნების ყველა ადამიანს, ყველა პირსა და ორგანიზაციას მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესს, რომელიც მოწვეულია მოსკოვში და რომელიც მნიშვნელოვანი წვლილი იქნება განიარაღების პრობლემის გადაჭრის საქმეში. (საკადესი).

ცივი ომის პოლიტიკა

ვ ა შ ი ნ გ ტ ო ნ ი, 12 ივნისი. (საკადესი). შეერთებული შტატების პოლიტიკა მსოფლიოს მეტწილ ქვეყნებში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ის სახელმწიფოა, რომელიც მზად არის ჩაებას ატომურ ომში, საკუთარი ინიციატივითაც კი, თუ ვერ მიაღწია თავის მიზნებს“, — ნათქვამია ამერიკის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში საგარო პოლიტიკის შესახებ. ეს ყრილობა ვაშინგტონში მიმდინარეობდა.

„პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს ცივი ომი, — აღნიშნულია შემდეგ რეზოლუციაში, — სულ უფრო და უფრო აქცევს შეერთებულ შტატებს გარნნზონულ სახელმწიფოდ, დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას და იწვევს სამოქალაქო თავისუფლებათა შელახვას. მხოლოდ ცხელ და ცივ ომებზე უარის თქმა შესაძლებელს გახდის ხალხთა ნამდვილ თანამეგობრობას მთელ მსოფლიოში“.

მე-18 აფეთქება ფუნარ ოკეანეში

ვ ა შ ი ნ გ ტ ო ნ ი, 13 ივნისი. (საკადესი). თავდაცვის სამინისტრომ და ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადეს, რომ გუშინ შეერთებულმა შტატებმა განახორციელა მორიგი ატომური აფეთქება წუნარ ოკეანეში კუნძულ ზობის რაიონში. ეს მე-18 ატომური აფეთქებაა ატმოსფეროში ამერიკის ატომური გამოცდების ახლანდელი სერიიდან.

სეატოს ჯარებმა უნდა დაგოვონ ლაოსი

ლ ო ნ დ ო ნ ი, 12 ივნისი. (საკადესი). ლაოსიდან მიღებულმა ცნობებმა, რომ სამი პრინცი შეთანხმდა კოალიციური მთავრობის შედგენის შესახებ, ყველაზე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა დღეს ინგლისური გაზეთების საერთაშორისო განყოფილებებში. სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების პრესა მიესალმება ამ მოვლენას და აღნიშნავს, რომ იგი პირველი ნაბიჯია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დაძაბულობის საშიში კერის ლიკვიდაციის გზაზე.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ლაოსის ამბების შეფასებისას ბურჟუაზიული პრესა აშკარად ცდილობს ხელი დააფაროს ლაოსის კრიზისის ნამდვილ გამომწვევთ. მთელი რიგი შემარცხვენე გაზეთები ამახინჯებენ ფაქტებს, დუმილით უვლიან გვერდს იმ ფაქტს, რომ შეერთებული შტატებისა და ინგლისის პროვოკაციულმა სამხედრო ხრიკებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში როდი შეუწყო ხელი პოლიტიკურ მოწესრიგებას ლაოსში.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „დეილი უორკერი“ დღეს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „შეთანხმება ლაოსში კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ მძიმე ლახვარი იყო იმ უგუნური ამერიკელი მოღაწეებისათვის, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ ნეიტრალისტური მთავრობის შექმნას ამ ქვეყანაში“.

გაზეთი „გარდიანი“ აღნიშნავს, რომ ლაოსის ახალი კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში შესულ ფუმი ნოსავანს, რომელმაც ამერიკელთა მხარდაჭერით ცოტათი როდი შეუწყო ხელი სამოქალაქო ომის გაჩაღებას ლაოსში, შეუძლია ხელი შეუშალოს კოალიციის მუშაობას, და რომ მას ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ გაერთიანებული ნეიტრალური ლაოსის შექმნის ცდა ჩაიფუშება და რომ შეერთებული შტატები იძულებული გახდებიან იარაღით დაუჭირონ მხარი მას. (ე. ი. ფუმი ნოსავანს).

ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ლაოსში მიღწეული შეთანხმება დღის წესრიგში აყენებს საკითხს, რომ დაუყოვნებლივ გაიყვანონ ინგლისის შეიარაღებული ძალები ტაილანდიდან, რომლებიც იქ გაიგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით. ამავე დროს აქ შეშფოთებით შეხვდნენ რეიტერის საგენტოს ცნობას ბანგკოკიდან იმის შესახებ, რომ სეატოს აგრესიული ბლოკის ჯარები, ე. ი. უმთავრესად ამერიკის ბლოკის ჯარები, შეიძლება ამ კვირაში გადაიყვანონ ლაოსის საზღვრებთან და რომ ზოგიერთი ქვეგანაყოფი უკვე გამზადებულია ბრძოლისათვის.



დასავლეთ ევროპაში გლეხობის ექსპროპრიაციას ულმობელი ხასიათი ეძლევა „საერთო ბაზრის“ შექმნასთან დაკავშირებით. (გაზეთებიდან).

„პარტიზანი“ დივერსანტები

ვ ა შ ი ნ გ ტ ო ნ ი, 12 ივნისი. (საკადესი). გაზეთი „მირორ-ტაიმსი“, რომელიც ლოს-ანჯელესში გამოდის, ათავსებს ცნობას სათაურით: „ამერიკის ჯარების ჯგუფი ემზადება პარტიზანული ომისათვის“.

ცნობაში აღნიშნულია, რომ დასავლეთ გერმანიაში „სპეციალურად შერჩეულ ჯარისკაცთა „ჯგუფს, რომელსაც პოლკოვნიკი მეიტსონი მეთაურობს, „გაძლიერებით ასწავლიან, როგორ უნდა იმოქმედონ მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში, როგორც დამოუკიდებელმა მებრძოლმა რაზმებმა... ჯარისკაცები სწავლობენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ძირითადი რაიონის გეოგრაფიას, პოლიტიკასა და ენას; ამ რაზმების შემადგენლობაში შედიან დაზვერვის, იარაღის, მედიცინის, კავშირგაბმულობისა და აფეთქების საქმის სპეციალისტები.

მიწისძვრა საგზერძნეთში

ლ ო ნ დ ო ნ ი, 12 ივნისი. (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ეგეოსის ზღვაში კუნძულ ლესბოსის ჩრდილოეთით მდებარე კუნძულ ლემნოსის 22 ათას მცხოვრებთაგან ბევრი ღია ცისქვეშ ცხოვრობს მას შემდეგ, რაც წარსულ შაბათს კუნძულზე მოხდა რვა მიწისქვეშა ბიძგი.

ამა წლის 29 მაისიდან კუნძულ ლემნოსზე რეგისტრირებულია 86 ბიძგი.

ჟენევის თათბირზე

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში

ჟ ე ნ ე ვ ა, 12 ივნისი. საკადესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კისლოვი იუწყება: პირველი ფაზა ჟენევის მოლაპარაკებისა განიარაღების შესახებ დასასრულს უახლოვდება — შესვენებამდე უნდა გაიმართოს სულ ორი პლენარული სხდომა. ამიტომ ბევრი დელეგატი, გამოდის რა ამ დღეებში, ამა თუ იმ ფორმით აჯამებს დისკუსიის შედეგებს, გამოთქვამს თავის სურვილებს.

დღეს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის ორმოცდამეთოთხმეტე პლენარულ სხდომაზე განცხადებანი გააკეთეს ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, ბრაზილიის, ნიგერიისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა.

განიარაღების მესამე ეტაპის ღონისძიებათა განხილვას მიეძღვნა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელის გამოსვლა. მან შეადარა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დოკუმენტთა პროექტების შესაბამისი დებულებანი და ცხადყო ძირითადი მანკიერებანი ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებებისა, რომლებსაც პრაქტიკულად საფუძვლად უდევს ატომური იარაღის საშუალამოდ დაკვიდრების კონცეფცია. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ შესვენების დროს დასავლეთის ქვეყნების დელეგაციები ხელახლა აწონ-დაწონიან თავიანთ პოზიციას და, ბოლოს დადგებიან გზას, რომელიც საშუალებას მისცემს განიარაღების თათბირს მიაღწიოს დადებითს შედეგებს.

ტელეგრაფი გვაცყობინებს

□ **ანკარაში** ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირსა და თურქეთს შორის სატელეფონო კავშირის დამყარების შესახებ. შეთანხმებაში დაზუსტებულია ავრეთვე ორივე ქვეყანას შორის უკვე არსებული რადიო-სატელეგრაფო კავშირის წესი. შეთანხმებაა ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ, რაც მოსკოვში მოხდება.

□ **დაგრამეის** რესპუბლიკის კეთილი ნების მისია დაგამეის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტ სუოუ-მიგან აპიტის მეთაურობით პოლონეთს ეწვია ოფიციალურ ვიზიტად. ვარშავის აეროდრომზე ჩამოსულთ მიეგება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოსკარ ლანგე.

□ **ბუდაპეშტში** გაიხსნა ხორბლის მოყვანის თეორიული და პრაქტიკული პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ ევროპის ათი ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო სპეციალისტები.

□ **ვარშავაში** პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების კლუბში დაიწყო საბჭოთა კინოკომედიების გასინჯვა. გასინჯვაზე ნაჩვენები იქნება 14 კინოსურათი, რომლებიც ასახავენ საბჭოთა კინემატოგრაფიის მიღწევებს 40 წლის მანძილზე. კერძოდ, ნაჩვენები იქნება კინოფილმები „ცირკი“, „მხიარული ახალგაზრდობა“, „ვოლგა-ვოლგა“, „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“, „მოუსვენარი ბედნიერება“.

□ **12 ივნისს** ზღვაზე მიიაგის პრეფექტურის სანაპიროს რაიონში ჰაერში ერთმანეთს დაეჯახა იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი რეაქტიული ავიაგამანადგურებელი, რომლებიც სწვრთნელ ფრენას აწარმოებდნენ. თვითმფრინავების პილოტები, რომლებიც პარაშუტებით გადმოხტნენ, გადარჩნენ.

(საკადესი).

ვის რა ხვდა! მიწის მსხვილ მესაკუთრეებს — ნაღები, მიწათმოქმედებს — მოხდილი რძე.

ნახატი ამერიკულ გაზეთ „უორკერიდან“.

პენტაგონის ავი მიზანი

ნ ი უ - ი ო რ კ ი. (საკადესი). შეშფოთება და აუოადღების დაძაბვა გამოიწვია ბაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის კულუარებში „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობამ, რომ თეორი სახლის მითითებით პენტაგონი შეუდგა პროგრამის შემუშავებას, რომლის მიზანია სამხედრო მიზნით კოსმოსის გამოყენების ინტენსიფიკაცია, ავრეთვე შეერთებული შტატების „კონტროლის უზრუნველყოფა“ კოსმოსური სივრცისადმი. ამ პროგრამის ერთ-ერთი ასპექტია შემუშავებულ იქნეს პროექტი „თანამგზავრისა, რომელშიც ადამიანი იქნება და რომელიც შეძლებს დაედევნოს და მოსპოს მტრის კოსმოსური ხომალდი“.

თუმცა პენტაგონმა სასწრაფოდ უარყო ეს ცნობა, არავის მიუღია სერიოზულად ეს უარყოფა. ჯერ კიდევ მაისში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ჰილპატრიკმა განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება დედამიწის თანამგზავრების ისეთი სისტემების შემუშავების შესახებ, რომლებსაც ადამიანი მართავს, რათა განხორციელდეს „ტრის კოსმოსური ხომალდების ნეიტრალიზაცია“.

ამასთან დაკავშირებით იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო მეტი აუოადღება ეთმობა კოსმოსის გამოყენების სამხედრო ასპექტებს. მაგალითისათვის სააგენტო იმოწმებს არა მარტო ჰილპატრიკის განცხადებას, არამედ პენტაგონის გადაწყვეტილებასაც. რომელიც 11 ივნისს გამოაცხადა და ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებს ხელი ჩაუდგოს ნამუშევრები კავშირგაბმულობის საიდუმლო სამხედრო თანამგზავრების შექმნის შესახებ მათი დაჩქარების მიზნით.

პენტაგონის პროგრამა და ამერიკის მთავრობის ეს გადაწყვეტილება აშკარად იჩენიადმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების განცხადებებს, რომ ესწრაფვიან კოსმოსის მშვიდობიან გამოყენებას.

ომის ფსიქოზი დასავლეთ გერლინში

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ბ ე რ ლ ი ნ ი, 12 ივნისი. (საკადესი). დასავლეთ ბერლინის ხელისუფალნი კვლავ აძლიერებენ დაძაბულობას დასავლეთ ბერლინში. სენატის გადაწყვეტილებით, ქალაქის საზოგადოებრივ შენობებზე დაიდგმება სულ 200 საყვირი საჰაერო განგაშის სიგნალის მისაცემად. გაზეთ „დერ კურირის“ ცნობით, საყვირთა პირველი პარტია უკვე მიღებულია დასავლეთ ბერლინში.

ტროტუარული ინციდენტები

პ ა რ ი ზ ი, 12 ივნისი. (საკადესი). რაც უფრო ახლოვდება ალჟირის თვითგამორკვევის შესახებ რეფერენდუმის მოწყობის ვადა, მით უფრო ძლიერდება რეპრესიები ალჟირელი მშრომელების წინააღმდეგ, რომლებიც პარიზში ცხოვრობენ და განზრახული აქვთ დაუსწრებლად მისცენ ხმა.

მკეთრი ინციდენტების შემდეგ, რომლებიც გუშინ მოხდა პარიზის მე-18 ოლქში და რომელთა შედეგად ერთი ალჟირელი მოკლულია და დაახლოებით ასი დაიჭრა, კომისიამ კვლავ გამოიყენა იარაღი. ახალი შეტაკებების შედეგად დაჭრილია 15 კაცი, მათგან ყველა ალჟირელია.

ერთ-ერთი ინციდენტი მოხდა გუშინ ნაშუადღევს პარიზის მე-19 ოლქში. პოლიციამ შეამტვრია კარი და შეიჭრა კაფეში, სადაც ჩვეულებრივ დადიან ალჟირელი მშრომელნი. იქ მყოფთაგან ათი კაცი დაუპატიმრეს. ამ ოპერაციის დროს ერთი ალჟირელი დაიჭრა. იგი სასწრაფოდ გაგზავნეს საავადმყოფოში.

გუშინ ნაშუადღევს პოლიციამ ნუაზილე-სეკში (პარიზის გარეუბანი) დაიკავა ორი ალჟირელი. გვიან საღამოს რამდენიმე ასეული ალჟირელი შეიკრიბა პოლიციის კომისარიატის გარშემო და მოითხოვდა თანამემამულეთა განთავისუფლებას. პოლიციის კომისარმა უბრძანა გერეკაა ალჟირელები, რისთვისაც გამოიწვია „უშიშრობის რესპუბლიკური რაზმების“ მცველები.

ნუაზი-ლე-სეკის კომუნისტი მერის ცნობით, რეპრესიები განსაკუთრებით სასტიკი იყო. პოლიციელთა ავტომობილები ავიწროებდნენ ალჟირელებს, გადიოდნენ ტროტუარებზე... მერმა თქვა, რომ დათვალა 15-მდე დაჭრილი.

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 14 ივნისი, 1962 წ.

ROCA MEFE TITVELIA...

გუშინ თბილისელებმა შესანიშნავი სპექტაკლი ნახეს... თეატრ „სოვრემენნიკი“ კოლექტივმა წარმოადგინა ეგენი შვარცის „ტიტველი მეფე“, პამფლეტი-ზღაპარი, რომელიც ფარდას ხდის უკეთურებას.

ბევრს ალბათ წაკითხული აქვს და ახსოვს დიდი დანიელი მეზღაპრის ქრისტიან ანდერსენის „ტიტველი მეფე“... ამ მეფეს ბორეული ქვეყნიდან ბრისული ორი ბრძენი-ფეიქარი ისეთ ტანსაცმელს უკოსავს, როლის დანახვაც შხოლოდ კუთხეყოფლებს შეუძლიათ. ის, ვისაც შეუფერებლად უჭირავს ადგილი ცხოვრებაში, ბრიყვია და მეფის ახალი ტანსაცმლის დანახვა არ ძალუძს... მეფეს მაზლობელთაგან ვერავინ უუბნება, რომ იგი ტიტველია. ამას მხოლოდ ბავშვი შეაყვარებს.

ანდერსენის ზღაპარი ეგენი შვარცის კალამს ყოველგვარი სიმახინჯის წინააღმდეგ მიმართულ პამფლეტად უქცევია, ზღაპრის პირობითობა პუბლიცისტურ მგზნებარებამდე აუმაღლებია. სიცრუე და მლიქნელობა აფერხებენ და აბრკოლებენ ცხოვრებას. ადამიანი ამაყი და მართალი უნდა იყოს. სამართლე საფუძველია საფუძველია, რომელ„აც ეყრდნობა ყოველივე ნამდვილად ადამიანი... აი დედააზრი ამ სპექტაკლისა.

ე. შვარცის „ტიტველი მეფე“ დადგა რეჟისორმა მ. მიქაელიანმა, მხატვარია ვ. დორერი, მალეტმეისტერი — ე. მეი, კომპოზიტორი — ე. კოლმანოვსკი, მთავარ როლებში მონაწილეობდნენ ე. ევსტიგნეევი, ვ. სერგაჩევი, ი. კვაშა, პ. შჩერბაკოვი, ვ. ზემლიანიკინი, ნ. დოროშინა და სხვანი.

თბილისელი მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს მოსკოველი სტუმრების შესანიშნავ ხელოვნებას.

თანამედროვეთათვის თანადროული

„სოვრემენნიკი“ თბილისში



ბევრმა პირველად ვნახეთ წარმოდგენა იმ თეატრისა, რომელიც არ მოერიდა პასუხისმგებლობას ატაროს მრავლისაღმთქმელი სახელი „თანამედროვე“. ჩვენი ახალგაზრდობა ყოველთვის იყო შემმართებელი, გაბედული, და გასაკვირი არ არის, რომ შემოქმედთა კრებულმა დაიჩემა თანადროული იყოს თანამედროვეთათვის.

ი ვუყურებთ პირველ საგასტროლო წარმოდგენას — ა. ზაკისა, ი. კუზნეცოვის პიესას „ორი ფერი“ და ვცდილობთ ამოვხსნათ, თუ რაშია ამ თეატრის თანადროულობა. რასაკვირველია, ამ კითხვას თეატრი უპასუხებს ყველა თავისი წარმოდგენით და აია მარტო ამ ერთით, თუნდაც ეს ნაწარმოები თვით თეატრის დაკვეთით იყოს დაწერილი დრამატურგების მიერ ცხოვრებისეული შემთხვევის გამო. ამ პირველმა წარმოდგენამ ზოგადად მაინც უნდა გაგვაცნოს ამ განსხვავებული სახელწოდების მქონე თეატრის ხასიათი და ბუნება.

პირველი, რაც ამ თეატრის დამახასიათებელია, ეს არის მისი ახალგაზრდული სული — მისი ჭაბუკური მგზნებარება, მტკივნეული და ამაღელვებელი კითხვების მოურიდებელი სიმწვავით და სიმახვილით დაყენება. თეატრს ღრმად აფიქრებს თავისი თანამედროვე ახალგაზრდის ბედი, ცხოვრების პარბელზე გამოსული ჭაბუკის გარეგნობა — ვისთვის კუპრივეთ შავბნელი და გულისამრევად საზიზღარი და— ვისთვის მზესავით ნათელი, ამხანაგურად ურთიერთდამხმარე და კეთილშობილად მზრუნველი, მეგობრობით გამთბარი, პატიოსნებითა და სიმართლით ამაღლებული.

ამ ერთი წარმოდგენითაც ჩანს ახალგაზრდა შემოქმედთა დასის და მისი სამხატვრო ხელმძღვანელობის მოქალაქეობრივი შეგნება, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა იმისათვის, რომ მაყურებელს განუვითარონ ახალი სამყაროს მშენებლის თვისებები. ეს ნათლად ჩანს ოლეგ ეფრემოვის და ვ. სერგეევის რეჟისორულ გაზრებაში, მსახიობთა კოლექტივის მიერ პიესის თავდაპერით წარმოსახვასა და ცხოვრების მოვლენებზე საზოგადოებრივი აზრის გამოხატვისკენ მისწრაფებაში. ეს წარმოდგენა იმის მაჩვენებელია, რომ თეატრს აქვს საკუთარი იდეურ-მხატვრული მიმართება, აქტიური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, შეურიგებლობა უმსგავსოებისადმი, შრომაში კეთილსინდისიერება და ყოველივე კეთილისა და კაცთმოყვარულის მოსარწყლობა, პატიოსნებისა და სიმართლის, უბრალოებისა და თავმდაბლობის მქადაგებლობა. ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს შემოქმედთა ინტელექტუალურ კრებულთან, რომელმაც ჩინებულად იცის, საით მიდის, როგორ ემსახუროს ხალხს და როგორ გაამართლოს თავისი მოწოდება.

სამხატვრო თეატრის წაიღიდან აღმოცენებულ ამ თეატრს, სიახლის ალღოსა და თანამედროეობის მძაფრ შეგნებასთან ერთად, აქვს რუსული თეატრის ეროვნული ტრადიციის განგრძობის მისწრაფებაც. ეს ნათლად იკრძნობა ადამიანის შინაგანი ცხოვრების, განცდის ღრმა და წრფელ გადმოცემაში. მაგრამ აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მსახიობის ღ. კრუგლის მიერ განსახიერებული ფედკა ლუკაშევი რამდენიმედ ავადმყოფური ვნებიანობით არის შეპყობილი და ამდენად ზომიერებას აცდენილია.

რასაკვირველია, თეატრს, რომელიც ხუთი წელია არსებობს, ვერ მოვთხოვთ აქტიორული გარდასახვის სრულყოფას, და თუ მაინც მთელ რიგ შემთხვევებში მაყურებელს ანარებს გარდასახვის სრულქმნამდე მიახლოებული სახეები (ე. ევსტიგნეევის — გლუხარი, გ. ეოლჩკის — ნინა, ვ. დეკიდოვის — ბაბაცი), მსახიობთა უმეტესობა, ჯერ კიდევ უპირატესად, ახალგაზრდულ მომხიბვლელობას ან თავისი ხასიათის პიესის გმირის ხასიათთან ბედნიერ თანადამთხვევას ეძყარება. მაყურებლის დიდ მოწონებას იმსახურებენ: ი. კვაშა (შურა გორიაევი) და ნ. რაშევსკაია (კატია შაგალოვა), რადგან მათ წრფელ შემოქმედებას თან ახლავს უშუალობა და ზომიერების გრძნობა, სპექტაკლის დადაბრის გამოხატვაში ახალგაზრდული მგზნებარება.

ჩვენ არა ვფიქრობთ, რომ ა. ზაკის და ი. კუზნეცოვის „ორი ფერი“ ჩვენი დრამატურგიის მნიშვნელოვანი მიღწევა იყოს; ამ პიესაში არათანაზომიერი შეფარდებითა არის ასახული ბნელი და ნათელი, ამიტომაც, ბნელის გამოხატვისას, მსახიობებს შეფარებით მომგებიანი როლები აქვთ, მაშინ როდესაც ამასვე ვერ ვიტყვით წარმოდგენის დედააზრის გამომხატველ სახეებზე და, თუ მაინც ეს წარმოდგენა მაყურებლის მოწონებას იმსახურებს, ამას უნდა ვუმადლოდეთ ახალგაზრდული თეატრალური კოლექტივის იდეურ-მხატვრულ ერთსულოვნებას, სამხატვრო ხელმძღვანელობის სწორად წარმართულ შემოქმედებით შრომას; ეჭვი არ არის, რომ შემდეგი წარმოდგენები კიდევ უკეთესი სახით გამოაჩენენ საბჭოთა თეატრალური კულტურის ამ საამედო კოლექტივს.

დიმიტრი ჯანელიძე.

* * *

სურათებზე: ქვემოთ მარცხნივ — სცენა სპექტაკლ „ორი ფერიდან“. ზემოთ მარცხნიდან — შურა გორიაევი (ი. კვაშა), კატია შაგალოვა (ნ. რაშევსკაია), გლუხარი (ე. ევსტიგნეევი).

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გრაზილია — ჩეხოსლოვაკია ფინალში



მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება, რამდენიმე დღეა დარჩენილა — ბან ლეგ. მსოფლიოში უძლიერესი ფეხბურთის ქვეყნის სახელი.

უკან დარჩა მღელვარებითა და მოუოლოდნელობით აღსავსე ბრძოლები. საფეხბურთო ოლიმპს მხოლოდ ოთხი გუნდი შემორჩა და აი გუშინ ნახევარფინალური მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ სანტ-იაგოში: **ბრაზილია — ჩილი;** ვინა-დელ-მარში: **ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია.**

მატჩი სანტ-იაგოში ბრაზილიელთა უპირატესობით აღინიშნა. პირველი ტაიმი მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო — 2:1. ორივე ბურთი მეტოქის კარში ბრაზილიელმა **ბარინჩამ** გაიტანა. მეორე ნახევარში კვლავ ბრაზილიის ნაკრები უტევს. ვავას დამატებით ორი ბურთი გააქვს ჩილიელთა კარებში. მატჩის საბოლოო შედეგია 4:2 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ.

დიდ წარმატებას მიაღწია ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა იუგოსლავებთან შეხვედრაში. ბრძოლა მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა. პირველი ნახევარი უშედეგოდ 0:0 დამთავრდა. მეორე ტაიმის დასაწყისში ჩეხებს პირველი ბურთი გაქვთ მეტოქის კარში. მალე იუგოსლავები ქვითავენენ ანგარიშს, მაგრამ მათ ანგარიშის გაზრდა ვერ მოახერხეს. ჩეხ თავდამსხმელს **შერერს** კიდევ ორი ბურთი გააქვს და გამარჯვება მოაქვს თავისი გუნდისათვის. 3:1 ჩეხების სასარგებლოდ.

ამრიგად მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები არიან: **ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია.** თუ რომელი მათგანი იქნება „ოქროს ქალღმერთის“ მფლობელი, გამოვლინდება ამ გუნდების შეხვედრაში 17 ივნისს სანტ-იაგოში. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდებიან **ჩილი-იუგოსლავია,** ეს მატჩიც სანტ-იაგოში გაიმართება 16 ივნისს.

ოცი ტურის შემდეგ

გროსმაისტერი ი. ავერბახი კუნძულ კიურასაოდან იტყობინება:

აქ მოეწყო მეცხრამეტე და მეოცე ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. საბჭოთა გროსმაისტერმა კორჩნოიმ ორი გამარჯვება მოიპოვა ფიშერთან და ფილიპთან გადადებულ პარტიებში. პეტროსიანმა მოუგო ბენკოს, გელერმა — ტალს.

20 ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერები არიან საბჭოთა გროსმაისტერები ბ. კერესი და ე. გელერი, რომლებსაც 13,5 ქულა აქვთ თვითეულს, ტ. პეტროსიანს 13 ქულა აქვს. ვ. კორჩნოის — 10,5 ქულა, რ. ფიშერს — 10, ბ. ბენკოს — 8,5, მ. ტალს — 6,5 და მ. ფილიპს — 4,5 ქულა.

ქართველ ხელგურთელთა გამარჯვება

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხელგურთში თბილისის „ბურევესტნიკის“ გაქცეთა გუნდი პოლონეთში იმყოფება ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად. პირველი შეხვედრა მათ გამართეს ვარშავის „აკადემიკთან“. გაიმარჯვეს ქართველმა ხელგურთელებმა ანგარიშით 23:20. რვა ბურთი ჯ. ცერცვაძემ გაიტანა.

საქალაქთაშორისო შეხვედრა ჭადრაკში

თბილისში ორ დღეს მიმდინარეობდა თბილისისა და ერევნის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების საქალაქთაშორისო ამხანაგური შეხვედრა 10 დაფაზე. პირველ დღეს თბილისელებმა ახალგაზრდული შემადგენლობა გამოიყენეს და დამარცხდნენ 4,5-5,5-ზე. მეორე დღეს თბილისელთა რიგებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ამჯერად ქართველმა მოჭადრაკეებმა ძლიერად ითამაშეს და მოიგეს შეხვედრა — 8 : 2. საქალაქთაშორისო მატჩის საერთო ანგარიშია 12,5:7.5 თბილისელ მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

შალიაპინი საქართველოში

„მე ორჯერ დავიბადე ამ ქვეყნად. ცხოვრებისათვის ყაზანში დავიბადე, მუსიკისათვის კი — თბილისში.

თევდორე შალიაპინი.

შალიაპინის დიდი გზის დასაწყისი, საქართველოში გატარებული დრო, ნაკლებად შესწავლილი ნაწილია გამოჩენილი მომღერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიისა. ცოტაა სურათებიც, საქართველოში შალიაპინის ყოფნა რომ აღუბეჭდავთ. ამიტომაც იყო ჩვენი სიხარული დიდი, როცა შალიაპინის ვაჟმა ამერიკელმა მხატვარმა ბორის შალიაპინმა ორი წლის წინათ იშვიათი სურათი გვიახსნოვრა. ის სურათი თევდორე შალიაპინს 1893 წელს გადაუღია თბილისში და ზედ წაუწერია: „ძვირფას ნიკოლაშას, სამახსოვროდ“.

მალე შალიაპინის მეორე ვაჟს, რომში მცხოვრებ თევდორე თევდორეს-ძესაც მივმართეთ. მან გვიპასუხა: „ზოგიერთი რამ მართლაც ვიპოვნე აქ, მონაზში, ჩვენს ძველ სახლში. სულზე მივუსწარი, ცოტაც, და სახლი დაინგრეოდა... სურათებს ვერ მივაგენი, ვნახე ორი დამზადებული კლიშე, მამაჩემი მსახიობობას რომ იწყებდა, იმ დროისა“.

პირველ სურათს, რომელზეც შალიაპინი მეფისტოფელის როლშია აღბეჭდილი, აწერია: „1892 წელი. ზამთარი. უსატოვთან ვმეცადინეობდი“. მეორე სურათზე კი (აქაც შალიაპინი-მეფისტოფელი) ახალგაზრდა მსახიობს წაუწერია: „არ გამომივიდა!“.

...1891 წელს ახალგაზრდა მოხეტიალე მსახიობი თევდორე შალიაპინი ბაქოში ჩავიდა, ფრანგულ ოპერეტას შეიფარა თავი. მაგრამ ის ოპერეტა მალე დაიშალა და ლუკმაპური კვლავ საძებნი გაუხდა. მომღერალმა ნავსადგურში მტვირთავად დაიწყო მუშაობა. მალე ბაქოში შავი ჭირი გაჩნდა და 1892 წლის გაზაფხულზე შალიაპინი სტავროთო მატარებლით ჩავიდა თბილისში. მან აქ შეიტყო, ოფიცერი კლიუჩაროვი ბათუმში საოპერო დასს ადგენსო. კლიუჩაროვის ანტრეპრენიორმა შალიაპინმა იმღერა ორ-ოველის პარტია (ბელინის ოპერა „ნორმა“) და მალე კარდინალისაც გალეკის „ებრაელ ქალში“.

ბათუმიდან დასი ქუთაისში გადავიდა და აქ შალიაპინმა გუნოს „ფაუსტიც“ მიიღო მონაწილეობა, ვალენტინის პარტია ითქვა. მაგრამ ამ დასსაც არ ეწერა დიდი დღე, ცოტა ხანში ისიც დაიშალა და შალიაპინს ერთადერთი გზადა დარჩა, კვლავ თბილისისაკენ მიმავალი გზა.

ბაქოსი არ იყოს, არც თბილისში იყო სამუშაოს პოვნა ეგრერიგად ადვილი. ცოტა ხანს იშიმშილა კიდეც, მერე ხანდახან ქალაქის მთავარ ბაღში მღეროდა ხოლმე, თითოოროლა კაპიკსაც შოულობდა, მაგრამ თვითმკვლელობაზე ფიქრს ვერ იქნა და ვერ დაალწია თავი. ამერიკაკავასიის რკინიგზის სამმართველოს საანგარიშო განყოფილებაში მუშაობა რომ არა, ვინ იცის, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ბუხალტერი რიაბინინი გადასწერ ქაღალდებს არ ულევდა და შალიაპინიც დილიდან საღამომდე წერდა.

თეატრის დარდი კი ჭიასავით უღრღნიდა გულს, ერთხელ უთხრეს თუ არა, კოჯორში კონცერტი იმართება და მონაწილეობა მიიღეო, იგი ორი დღით დაეთხოვა რიაბინინს და ფეხით ავიდა კოჯორში.

მაგრამ ასე შემთხვევით როდემდე უნდა ემღერა, და შალიაპინმაც გადაწყვიტა ყაზანში წასულიყო. აი სწორედ იმხანად მოხდა ბედის წაღმა შემტრალებელი ერთი ამბავი.

თბილისში ცხოვრობდა დიდი თეატრის ყოფილი მსახიობი დიმიტრი უსატოვი. ერთხელ თანამოსამსახურეებმა შალიაპინს ურჩიეს მოენახულებინა იგი. პირველ სტუმრობას შედეგი არ მოჰყოლია: იმ მუსიკალური სასწავლებლის კარისკაცმა, სადაც უსატოვი ასწავლიდა, შიგ არც კი შეუშვა ძველტანსაცმლიანი ახალგაზრდა. სხვა რა გზა იყო, შინ უნდა სწვეოდა უსატოვს. მერე აღარასოდეს დავიწყებია ის წუთი შალიაპინს. უნდა გიმღერიო, უთხრა, იმღერა და ცოტა ხნის შემდეგ მორცხვად შეეკითხა:

— რას იტყვით, გავყვე თუ არა?

— უეჭველად! — უპასუხა უსატოვმა და თვალებში ჩააცქერდა.

ერთი წელიწადი, 1892 წლის სექტემბრიდან 1893 წლის სექტემბრამდე, მუცადინეობდა შალიაპინი. უსატოვი უფასოდ ამეცადინებდა, თანაც საადოიკო საწყობების მფლობელი, ყოფილი მუსიკოსი ალიხანოვი დაიყოლია და თვეში ათი მანეთი დაანიშნინა.

უსატოვმა შალიაპინი მუსიკის მოყვარულთა წრის წევრებს გააცნო. ის წრე დღევანდელი სამხატვრო აკადემიის შენობაში იყო და „თბილისის მუსიკალური წრე“ ერქვა. წრის წევრები ხშირად დგამდნენ სოპერო და დრამატულ სპექტაკლებს. შალიაპინი არც ერთ მეცადინეობას არ აცდენდა და ყოველ წამოწყებაში იღებდა მონაწილეობას—არც კონცერტს გამოაკლდებოდა და არც დრამატულ სპექტაკლს. მღეროდა, თამაშობდა, დეკორაციას თვითი ხელით აწყობდა, ბუტაფორიასაც უკლიდა. ერთი სიტყვით, როგორც თავად წერდა, „ყველაფერს სინდისიერად აკეთებდა“. მალე წრემ თვეში თხუთმეტი მანეთი სტიპენდია დაუნიშნა.

შემდგომი კონცერტებისათვის უსატოვმა შალიაპინს „ალის“ მესამე მოქმედება და მეფისტოფელის სერენადა („ფაუსტი“) მოამზადებინა. სურათები, რომლებიც შალიაპინის ვაუმა იტალიიდან გამოგზავნა, სწორედ იმხანად გამართულ კონცერტზეა გადაღებული. „გამხდარი და აყალარწული, — იგონებდა შალიაპინი, — მეტად სასაცილო ჭაჩანდი მეფისტოფელის ტანსაცმელში, მაგრამ ხალხს სიმღერა მაინც მოეწონა“. ხოლო მეწისქვილის პარტია რომ იმღერა, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და ისე უკრავდა ტაშს. მეორე დღეს გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა რეცენზია, რომელშიც შალიაპინს მეწისქვილის ცნობილ შემსრულებელს ოსიპ პეტროვს ადარებდნენ.

იმ მუსიკალურმა წრემ ბევრი მისცა შალიაპინს. იგი თავად წერდა, პირველად აქ მივხვდი, რომ „მუსიკა სამყაროს სულის ხმა და უსიტყვო საგალობელია“.

ოთხმოცდაცამეტი წლის ზაფხულის ბოლოსთვის შალიაპინმა უსატოვთან ერთად სამი ოპერა მოამზადა — „ალი“, „ხიცოცხლე მეფისათვის“ და „ფაუსტი“.

წერილი მოსკოვიდან

მალე მან თბილისის სახაზინო თეატრთან (დღევანდელი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი) ხელშეკრულება დადო.

1893 წლის 10 სექტემბერს გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ წერდა:

„ბომღერლის ხმა... შესანიშნავად ეღერდა, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა სილაღითა და სიმსუბუქით. ვინც ამ ზამთარს მოუსმინა შალიაპინს, ისინი უთუოდ განცვიფრებული არიან, თუ რა ხანმოკლე დროის მანძილზე მიაღწია მომღერალმა ესოდენ წარმატებას. თუ კვლავაც ასე გულმოდგინედ იმუშავა, იგი არ უნდა დადგეს ცუდი მომღერალი. საამისოდ ყველაფერი აქვს: სახიერებენო მძლავრი ხმაც, მუსიკალური სმენაც, დრამატული ნიჭიც და, რაც მთავარია, ჯერ სულ ახალგაზრდაა“.

მალე შალიაპინი თბილისელთა საყვარელი მსახიობი გახდა. სპექტაკლებს გარდა, იგი საქველმოქმედო კონცერტებშიც იღებდა მონაწილეობას. მთელ სამანო რეპერტუარს თითქმის ის ასრულებდა. 1893 წლის სექტემბრიდან 1894 წლის თებერვლამდე ამ სამოცდაცხრა სპექტაკლში იმღერა!

შალიაპინი მერე იგონებდა:

„როლებს ზედიზედ ბლინებივით ვაცხობდი, მაგრამ ისე მეტისმეტად მიყვარდა ჩემი საქმე, რომ „ქარაფშუტულად ვერ მოვეკიდებოდი“. იგი ძალიან ბევრს მუშაობდა. ხშირად ღამეებსაც ათენებდა. „ყოველი როლი წერდა ის, — სულში მწვდებოდა ხოლმე“.

სეზონის ბოლოს, 1894 წლის 4 თებერვალს შალიაპინმა ბენეფისი მიიღო. მან მთლიანად დადგა „ჯამბაზები“ და „ფაუსტი“. წარმატებამ მოლოდინს ბაჯაჯარმა. მობენეფისეს ოქროს საათი, ვერცხლის თასი და სამასი მანეთი ფული აჩუქეს. მაგრამ ყველაზე ძვირფასი მაინც უსატოვის საჩუქარი იყო. ძველ, ოდესღაც სამახსოვროდ მიტანილ ლენტზე სიტყვა „უსატოვს“ ამშვენა და დაეწერა „შალიაპინს“. ის ლენტი დაფნის გვირგვინს შემოახვია და ისე მიართვა. ამ ბენეფისის შემდეგ ყორღანოვი მოსკოვის ერთ-ერთ ჟურნალში წერდა:

„თბილისის ოპერის ბანთა შორის საუკეთესოა შალიაპინი. ის არტისტად არის დაბადებული. როგორც იტყვიან, „ბრბოს“ შვილია... თუ დაფნის გვირგვინები არ გაიტაცებენ და არ შედგება თავისი არტისტული განვითარების გზაზე, იგი სულ მალე ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიკერს გამოჩენილ მსახიობთა შორის“.

ეს წინასწართქმა ახდა. თბილისის ოპერის კარგად განვლილმა სეზონმა ფრთა შეასხა მომღერალს და შორეულ დიდ გზაზე დაიწყებინა ოცნება.

1894 წლის მაისში შალიაპინი მოსკოვში გაემგზავრა. მოსკოვში იგი დარწმუნდა, რომ თბილისში მუშაობას ამაოდ არ ჩაევლო. დედაქალაქის თეატრალმა პროფესიონალებმა ყველაფერი იცოდნენ შალიაპინის დიდ წარმატებაზე თბილისის საოპერო თეატრში.

ამაზე შესანიშნავად წერს თავის ახლახან გამოსულ მოგონებებში ცნობილი კინორეჟისორი და მსახიობი ი. პერესტიანი. ის და შალიაპინი ძალიან ადრე დამეგობრდნენ, ჯერ კიდევ უსატოვის ნახვამდე. მიმინდლის პროსპექტზე (ახლანდელი პლეხანოვის პროსპექტი) პუშკინის ბაღში მღეროდა ხოლმე შალიაპინი. პერესტიანიც ხშირი სტუმარი იყო იმ ბაღისა. გაცნობით კი ბაქოში გაიცნეს ერთმანეთი. მსახიობები დიდხანს ცხოვრობდნენ ერთადდასიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე შინ მოვინახულეთ პერესტიანი. მან გვიამბა, ბათუმის ცნობილ ბაღში დღესაც დგას ერთად ორი ხე, ისინი ჩვენი მეგობრობის ნიშნად, ქართველთა და რუსთა მეგობრობის ნიშნად, დარგო შალიაპინმაო.

შალიაპინს იმხანად მარტო საქართველო იცნობდა, თქვა პერესტიანმა, და ქართველი მსმენელი, რომელმაც იგი მრავალ შემსრულებელთა შორის შენიშნა და გამოარჩია, აღტაცებული უკრავდა ტაშს ახალგაზრდა მომღერალს. საქართველო დავად მუსიკალური ქვეყანაა და მომღერალსაც ბევრსა სთხოვენ. საქართველოში მოპოვებული წარმატება მომღერლისათვის ყოველთვის იყო ერთგვარი საგზური დიდ გზაზე გასასვლელად. ეს ამბავი კარგად იცოდა შალიაპინმა მუსიკალურმა რუსეთმა. აი რატომ იყო, რომ მოსკოვსა და პეტერბურგშიც გაიგონეს თბილისში დაკრული ტაშის ხმა.

საქართველო ყოველთვის თვალყურს ადევნებდა შალიაპინს (1918 წელს „კავკაზსკაია რამპამ“ შალიაპინი დასახელა იმ „მუსიკოსების, პოეტების და მხატვრების რიცხვში, რომლებსაც დიდი ხანია ჩვენიანებად ვთვლით“), სადაც არ უნდა წასულიყო შალიაპინი, არასოდეს არ ივიწყებდა „თბილისს, სადაც არა ერთი და ორი საათი ვყოფილვარ ბედნიერი“. მხატვარი კ. კოროვინი თავის მოგონებებში წერს, შალიაპინი პირველად რომ მოხვდა პეტერბურგში (ის იქ პანაევის თეატრში მუშაობდა), თუ გაბარაზებდნენ, იმ წუთას ამას იტყოდა:

— ეშმაკსაც წაუღიხართ, ავდგები და წავალ თბილისში, პეტერბურგში რა დამრჩენია?

მერე მოდგებოდა და დაიწყებდა, აი ასე და ასე ბედნიერი ვიყავი თბილისშიო.

ამას შალიაპინის ქალიშვილი ირინეც ამბობდა, მრავალი წლის შემდეგაც კი თვალები უბრწყინდებოდა და ბავშვივით გაიხარებდა, როცა თბილისზე ჰამოაგდებდა ხოლმე ლაპარაკსო. ხშირად უთქვამს: „თბილისი სასწაულმოქმედ ქალაქად იქცა ჩემს ცხოვრებაში“. ამას სახელგანთქმული ტენორი ვანო სარაჯიშვილიც ადასტურებს. შალიაპინი ყოველთვის თბილისისაკენ ილტვოდაო.

ჩამოსვლა კი მხოლოდ 1910 წელს მოახერხა, როცა პიანისტ თ. კენემანთან და მევიოლინე ნ. ავერინოსთან ერთად სამხრეთ რუსეთში მოგზაურობდა საგასტროლოდ. ოქროსფერი შემოდგომა იდგა. მსახიობთა საზოგადოების თეატრის შენობა (დღევანდელი რუსთაველის სახელობის თეატრი) ბალნით აივსო. 19 სექტემბერს მუსიკალური თბილისი კვლავ შეხვდა თავის სახელგანთქმულ შალიაპინს.

ხელმეორედ 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს ჩამოვიდა შალიაპინი საქართველოში. 15 და 18 მაისს ორი კონცერტი გამართა ოპერის თეატრში. პირველი კონცერტის შემოსავალი ომისაგან დაზარალებულთ შესწირა მთლიანად. 17 მაისს შალიაპინი თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში გამოსაშვებ გამოცვა — ვისთვის კუპრივეთ შავბნელი და გულისამრევად საზიზღარი და— ვისთვის მზესავით ნათელი, ამხანაგურად ურთიერთდამხმარე და კეთილშობილად მზრუნველი, მეგობრობით გამთბარი, პატიოსნებითა და სიმართლით ამაღლებული.

ამ ერთი წარმოდგენითაც ჩანს ახალგაზრდა შემოქმედთა დასის და მისი სამხატვრო ხელმძღვანელობის მოქალაქეობრივი შეგნება, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა იმისათვის, რომ მაყურებელს განუვითარონ ახალი სამყაროს მშენებლის თვისებები. ეს ნათლად ჩანს ოლეგ ეფრემოვის და ვ. სერგეევის რეჟისორულ გაზრებაში, მსახიობთა კოლექტივის მიერ პიესის თავდაპერით წარმოსახვასა და ცხოვრების მოვლენებზე საზოგადოებრივი აზრის გამოხატვისკენ მისწრაფებაში. ეს წარმოდგენა იმის მაჩვენებელია, რომ თეატრს აქვს საკუთარი იდეურ-მხატვრული მიმართება, აქტიური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, შეურიგებლობა უმსგავსოებისადმი, შრომაში კეთილსინდისიერება და ყოველივე კეთილისა და კაცთმოყვარულის მოსარწყლობა, პატიოსნებისა და სიმართლის, უბრალოებისა და თავმდაბლობის მქადაგებლობა. ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს შემოქმედთა ინტელექტუალურ კრებულთან, რომელმაც ჩინებულად იცის, საით მიდის, როგორ ემსახუროს ხალხს და როგორ გაამართლოს თავისი მოწოდება.

სამხატვრო თეატრის წაიღიდან აღმოცენებულ ამ თეატრს, სიახლის ალღოსა და თანამედროეობის მძაფრ შეგნებასთან ერთად, აქვს რუსული თეატრის ეროვნული ტრადიციის განგრძობის მისწრაფებაც. ეს ნათლად იკრძნობა ადამიანის შინაგანი ცხოვრების, განცდის ღრმა და წრფელ გადმოცემაში. მაგრამ აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მსახიობის ღ. კრუგლის მიერ განსახიერებული ფედკა ლუკაშევი რამდენიმედ ავადმყოფური ვნებიანობით არის შეპყობილი და ამდენად ზომიერებას აცდენილია.

რასაკვირველია, თეატრს, რომელიც ხუთი წელია არსებობს, ვერ მოვთხოვთ აქტიორული გარდასახვის სრულყოფას, და თუ მაინც მთელ რიგ შემთხვევებში მაყურებელს ანარებს გარდასახვის სრულქმნამდე მიახლოებული სახეები (ე. ევსტიგნეევის — გლუხარი, გ. ეოლჩკის — ნინა, ვ. დეკიდოვის — ბაბაცი), მსახიობთა უმეტესობა, ჯერ კიდევ უპირატესად, ახალგაზრდულ მომხიბვლელობას ან თავისი ხასიათის პიესის გმირის ხასიათთან ბედნიერ თანადამთხვევას ეძყარება. მაყურებლის დიდ მოწონებას იმსახურებენ: ი. კვაშა (შურა გორიაევი) და ნ. რაშევსკაია (კატია შაგალოვა), რადგან მათ წრფელ შემოქმედებას თან ახლავს უშუალობა და ზომიერების გრძნობა, სპექტაკლის დადაბრის გამოხატვაში ახალგაზრდული მგზნებარება.

ჩვენ არა ვფიქრობთ, რომ ა. ზაკის და ი. კუზნეცოვის „ორი ფერი“ ჩვენი დრამატურგიის მნიშვნელოვანი მიღწევა იყოს; ამ პიესაში არათანაზომიერი შეფარდებითა არის ასახული ბნელი და ნათელი, ამიტომაც, ბნელის გამოხატვისას, მსახიობებს შეფარებით მომგებიანი როლები აქვთ, მაშინ როდესაც ამასვე ვერ ვიტყვით წარმოდგენის დედააზრის გამომხატველ სახეებზე და, თუ მაინც ეს წარმოდგენა მაყურებლის მოწონებას იმსახურებს, ამას უნდა ვუმადლოდეთ ახალგაზრდული თეატრალური კოლექტივის იდეურ-მხატვრულ ერთსულოვნებას, სამხატვრო ხელმძღვანელობის სწორად წარმართულ შემოქმედებით შრომას; ეჭვი არ არის, რომ შემდეგი წარმოდგენები კიდევ უკეთესი სახით გამოაჩენენ საბჭოთა თეატრალური კულტურის ამ საამედო კოლექტივს.

დიმიტრი ჯანელიძე.

ეს სურათი თევდორე შალიაპინმა 1907 წლის 10 ივნისს მილანში სამახსოვრო წარწერით აჩუქა გამოჩენილ ქართველ მომღერალს ვანო სარაჯიშვილს, რომელიც 1906-1908 წლებში იტალიაში იმყოფებოდა.

სურათს აწერია: სამახსოვროდ ლამაზ ყმაწვილკაცს ვანო სარაჯიშვილს წარმატების გულწრფელი სურვილით. თევდორე შალიაპინი. 10-VI. 1907. მილანი.

ეს სურათები გადაღებულია თბილისში 1892 და 1893 წლებში. პირველ ორ სურათზე აღბეჭდილია შალიაპინი — მეფისტოფელი (გუნოს ოპერა „ფაუსტი“), მესამე სურათზე შალიაპინი — მეწისქვილე (დარგომიჟსკის ოპერა „ალი“).

ეს წერილი, რომელიც მოსკოველმა ავტორებმა შემოგვთავაზეს „კომუნისტის“ მკითხველებისათვის, მთლიანად დაიბეჭდება ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკის“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

14 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — აბესალომ და ეთერი (სეზონის დახურვა), **რუსთაველის სახელობის** — ქუთათურები, **მარჯანიშვილის სახელობის** — მედეა, **სანაულტურის**—თორტიზელები (აბონ. № 3), **მოსკოვის „სოვრემენნიკის“ თეატრი** — ტიტველი მეფე (ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში).

ფეხბურთი

12.00 — მხატვრული ფილმი „ჯვაროსნები“ (II სერია) 18.00 — ყველაზე პ